

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების ,კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისია

ოქმი № 02

ქ.აბაშა უჩა კაჭარავას #1

15 თებერვალი 2018 წელი.

სხდომას ესწრებოდა აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების ,კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. კონსტანტინე კუჭუხიძე - აბაშის მუნიციპალიტეტის განათლების ,კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.
2. რევაზ ჩაჩავა - აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების ,კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი
3. ლეონტი ნადარეიშვილი - აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების ,კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი
4. გიორგი კაჭარავა - აბაშის მუნიციპალიტეტის განათლების ,კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი
5. ირაკლი ჭანტურია - აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების ,კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი
6. ბაჩუკი ქვილითაია- აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების ,კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი

არ ესწრებოდნენ:

- 1.დავით კაჭარავა- აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების ,კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი
2. ზურაბ ლომია-აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების ,კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი

3.კობტა მელია- აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების ,კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი

დღის წესრიგი:

მომხსენებელმა, აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების ,კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, კონსტანტინე კუჭუხიძემ, კომისიის წევრებს გააცნო სხდომაზე განსახილველი საკითხები:

1.ერთობლივი საქმიანობის მიზნით აბაშის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „საცხენოსნო კლუბი ხარებაში“ გაწევრების გადაწყვეტილების მიზანშეწონილობაზე აბაშის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

კ. კუჭუხიძე

დღის წესრიგის პირველი საკითხი:

1. ერთობლივი საქმიანობის მიზნით აბაშის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „საცხენოსნო კლუბი ხარებაში“ გაწევრების გადაწყვეტილების მიზანშეწონილობაზე აბაშის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი:

კონსტანტინე კუჭუხიძე

(აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.) :

მომხს. კ. კუჭუხიძემ წარმოადგინა ა(ა)იპ „საცხენოსნო კლუბი ხარება“-ს დირექტორის კობა ეხვასიას წერილი, სადაც წერილის ავტორი გვაცნობებს რომ, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. ჭითაწყარში ფუნქციონირებს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „საცხენოსნო კლუბი ხარება“. კლუბი დაარსდა 2015 წლის 5 მაისს და დღეის მდგომარეობით კლუბში 15 ცხენი ირიცხება.

2017 წლის ივნისში აღნიშნულ ა(ა)იპში, ერთობლივი საქმიანობის განხორციელების მიზნით გაწევრიანდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტი.

სურვილი გვაქვს, ერთობლივი საქმიანობის განხორციელების მიზნით აბაშის მუნიციპალიტეტი გახდეს „საცხენოსნო კლუბი ხარებას“ პარტნიორი-თანადამფუძნებელი, რათა მომავალში ურთიერთთანამშრომლობის გზით, საცხენოსნო კლუბისათვის ხელის შეწყობის, საცხენოსნო სპორტის განვითარება და ამ კუთხით სპორტის ამ სახეობის ზრდისათვის საჭირო პირობის, პირველადი და აუცილებელი საჭიროებების უზრუნველყოფა განხორციელდეს ერთობლივი ძალისხმევით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა წარმოადგინა ასევე აბაშის მუნიციპალიტეტის მერის ბატონ ლევან მაკალათიას განკარგულების პროექტი, სადაც აღნიშნულია, რომ შემოთავაზებული წინადადება, სხვა ხელსაყრელ გარემოებებთან ერთად ფინანსური თვალსაზრისითაც მისაღებია ჩვენი მუნიციპალიტეტისთვისაც.

აზრი გამოთქვეს: ირაკლი ჭანტურიამ, ლეონტი ნადარეიშვილმა, ბაჩუკი ქვილითაიამ, გიორგი კაჭარავამ .

დაადგინეს : წარმოდგენილი პროექტი შეფასდეს დადებითად და საკრებულოს ბიუროს ეთხოვოს აღნიშნული საკითხი შეიტანოს საკრებულოსა და ბიუროს უახლესი სხდომის დღის წესრიგში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 21 მუხლის ,54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,106¹ მუხლის პირველი, მეორე, მეოთხე, მეექვსე პუნქტების შესაბამისად და აბაშის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 03/151 წერილის საფუძველზე, აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების ,კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ განიხილა აღნიშნული განკარგულების პროექტი, ჩათვალა რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი დამაკმაყოფილებელია და შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.

აბაშის მუნიციპალიტეტის განათლების ,კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

მომხრე 6 დეპუტატი;

წინააღმდეგი - არც ერთი დეპუტატი

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განათლების ,კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე:

/კ. კუჭუხიძე/

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის

დასკვნა #02

.ერთობლივი საქმიანობის მიზნით აბაშის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „საცხენოსნო კლუბი ხარებაში“ გაწევრების გადაწყვეტილების მიზანშეწონილობაზე აბაშის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მიზანშეწონილობის შესახებ არსებულ კანონმდებლობასთან მიმართებაში.

ქ. აბაშა უჩა კაჭარავას # 1

15 თებერვალი 2018

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ:

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 21 მუხლის ,54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,106¹ მუხლის პირველი, მეორე, მეოთხე, მეექვსე პუნქტების შესაბამისად შესაბამისად წარმოდგენილი განკარგულების პროექტი სრულად შეესაბამება არსებულ კანონმდებლობას, ასევე დაცულია დოკუმენტაციის წარმოდგენის საპროცედურო ნორმები და ვადები.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ დაავალა აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს კონსტანტინე კუჭუხიძეს აღნიშნულის შესახებ აცნობოს აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ მამუკა კვიციანიას და აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს აღნიშნული პროექტის აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უახლოეს სხდომაზე გასატანად.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის

თავმჯდომარე:

/კ.კუჭუხიძე/